

ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სპორტული
ლონისძიების, საპლაჟო ფეხბურთის ტურნირის ორგანიზების (CPV92600000)
შესყიდვის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ბათუმი

2015 წელი

სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება----- 2
2. დანართი N1-----5
3. დანართი N2-----6
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი-----10

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1 ღონისძიება - საპლაჟო ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზება. დანართი #2 (ფასების ცხრილი);

1.2 შესყიდვის შესრულების ადგილი – ქ. ბათუმი ლადო ასათიანის ქ. N27.

1.3 საპლაჟო ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში, შემსყიდველი უზრუნველყოფს:

ა) ტურნირში გუნდების მონაწილეობას;

ბ) ტურნირის დებულების, თამაშების კალენდარის და ღონისძიების პროგრამის შედგენას;

გ) ქვიშის მოედნითა და ფეხბურთის ბურთებით.

1.4. ტურნირის აღწერილობა:

საპლაჟო ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, ქ. ბათუმში ზღვისპირა ზოლში არსებულ ქვიშის მოედანზე, ტურნირი ჩატარდება შერეული სისტემით, ჯგუფებში წრიული, ხოლო პლეიოფებში ოლიმპიური სისტემით, ხოლო ღონისძიების ჩატარების დეტალური ინფორმაცია გაწერილ იქნება ტურნირის დებულებაში.

1.5 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ ტურნირში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდების (I, II და III ადგილები) დაჯილდოება თასებითა და მედლებით;

ბ) ღონისძიების ფარგლებში, ტურნირში მონაწილე ქვეყნების, შვიდი დროშის მოწოდება (ზომა: სიმაღლე 1 მეტრი; სიგანე-1.5 მეტრი, ატლასის ნაჭრის და დაბეჭდილი სადროშე ქსოვილზე);

გ) ღონისძიების მიმდინარეობის რეკლამა (საინფორმაციო ბანერის დამზადება და გაკვრა შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე, ზომა: სიმაღლე 1 მეტრი სიგანე -6 მეტრი, სპეციალური სამაგრებით (ე.წ ლუვერსებით));

დ) ღონისძიების საინფორმაციო აფიშის დამზადება და გაკვრა (A2 ფორმატის. 155გრ. პრიალა პარცის ქაღალდის სრულფერიანი, აფიშები უნდა გაიკვრას ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შემსყიდველის მითითებით);

ე) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ ტურნირში, ხუთ სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილი სპორტსმენების დაჯილდოება სადგამიანი დიპლომით, (ბარხატის ჩასადებით, ოქროსფერ მეტალზე სუბლიმაციური ბეჭდვით, ზომა A2);

ვ) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ ტურნირში მონაწილე გუნდების დაჯილდოება სიგელით (ჩარჩოში, ქაღალდის 300 გრ, ა4 ფორმატის);

ზ) მისური ლოგოტიპით (უნდა იყოს დამზადებული ბამბისაგან, ნახევარ მკლავით, ლოგოტიპი თერმული ბეჭდვით, ზომები, ლოკოტიპისა და დიზაინი შეთხზებული შემსყიდველთან);

თ) კეპი ლოგოტიპით (უნდა იყოს თერმული ბეჭდვით. ზომები, ლოკოტიპი და დიზაინი შეთხზებული შემსყიდველთან);

ი) ტრანსპორტირება შიდა გადაადგილებისათვის (ორი მიკროავტობუსი არანაკლებ 2004 წლის, არაუმცირეს 20 ადგილიანი კონდიციონერით, (ტრანსფერი: ბათუმის - აეროპორტი - სასტუმრო და ქ. ბათუმი შიდა გადაადგილება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად));

კ) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ტურნირებში მსაჯების მომსახურეობა (ერთი მსაჯი, საპლაჟო ფეხბურთის ფიფას კატეგორიის მფლობელი -16 თამაში);

ლ) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ტურნირებში მსაჯების მომსახურეობას (სამი მსაჯი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ არანაკლებ პირველი ეროვნული კატეგორიის მფლობელი -16 თამაში);

მ) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ტურნირებში მსაჯების (ქრონომეტრისტი) მომსახურეობა (16 თამაში);

ნ) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ტურნირებში წამყვანის მომსახურეობა (გათამაშებების, თამაშის დროს კომენტარებისა და ფეხბურთელების გამოცხადება ქართულ და რუსულ ენაზე. (16 თამაში));

ო) ღონისძიების ფარგლებში, 73 კაცი სასტუმროს მომსახურება სამჯერადი კვებით 5 დღით (სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ცენტრალურ ნაწილში, სასტუმრო უნდა იყოს მინიმუმ 30 ნომრიანი (ნომრებში უნდა განთავსდეს არაუმეტეს 4 ადამიანი, ამასთან მინიმუმ 15 ნომერი უნდა იყოს 2 ადგილიანი), თითოეული ნომერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სველი წერტილით (საშხაპე, ტუალეტი), ფიტნეს კლუბით, საცურაო აუზით არანაკლებ 15 მეტრი სიგრძისა და გათბობა/კონდიციონერების სისტემით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სამჯერადი კვების სრული პაკეტით (საუზმე, სადილი, ვახშამი) 73 პერსონაზე 5 დღის მანძილზე. საკვები მენიუს შეთანხმება მოხდება შემსყიდველთან წინასწარ);

პ) ღონისძიების გახსნისა და დაჯილდოვების ორგანიზება.

2. მომსახურების გაწევის ვადა:

2.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 07 სექტემბრამდე.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით;

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.5 ეტაპობრივი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

4.1 ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე-2 პუნქტის მე-2 .1 ქვეპუნქტის განსაზღვრული მოთხოვნებისა.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 საკონტაქტო პირები: სატენდერო კომისიის წევრი შოთ დავითძე; ტელ: 29 35 20, მობ: 577 65 05 56; ელ-ფოსტა: shotadavitadze22@gmail.com.

7. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

7.1 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;
- ფასების ცხრილი დანართი N2-ის შესაბამისად;
- ტექნიკური დოკუმენტაცია (ანგარიშსწორების პირობები, მიწოდების ვადები და პირობები).

7.2 ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ;

რეკვიზიტები:

სამართლებრივი ფორმა:

საფირმო სახელწოდება:

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

მომსახურე ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი:
(სახელი და გვარი)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონი:

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელწერა)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა.)

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება -----

N	მომსახურების დასახელება	მახასიათებლები	ფერი	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამი	მიწოდების ვადები
1	თასი პირველი ადგილისათვის	სიმაღლე არანაკლებ 70 სმ, წარწერა შეთანხმდეს შემსყიდველთან	ოქროს ფერი	1	ცალი			არაუგვიანეს 05.09.2015
2	თასი მეორე ადგილისათვის	სიმაღლე არანაკლებ 60 სმ, წარწერა შეთანხმდეს შემსყიდველთან	ოქროს ფერი	1	ცალი			არაუგვიანეს 05.09.2015
3	თასი მესამე ადგილისათვის	სიმაღლე არანაკლებ 50 სმ, წარწერა შეთანხმდეს შემსყიდველთან	ოქროს ფერი	1	ცალი			არაუგვიანეს 05.09.2015
4	მედალი პირველი ადგილისათვის	(მეტალის, დიამეტრი არანაკლებ 5სმ, დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)	შეთანხმებით	12	ცალი			არაუგვიანეს 05.09.2015
5	მედალი მეორე ადგილისათვის	(მეტალის, დიამეტრი არანაკლებ 5სმ, დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)	შეთანხმებით	12	ცალი			არაუგვიანეს 05.09.2015
6	მედალი მეორე ადგილისათვის	(მეტალის, დიამეტრი არანაკლებ 5სმ, დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)	შეთანხმებით	12	ცალი			არაუგვიანეს 05.09.2015
7	ტურნირში მონაწილე ქვეყნების დროშა	ზომა: სიმაღლე 1 მეტრი; სიგანე-1.5 მეტრი (ატლასის ნაჭრის ან დაბეჭდილი სადროშე ქსოვილზე)	შეთანხმებით	7	ცალი			არაუგვიანეს 01.09.2015

8	სპორტული ღონისძიების საინფორმაციო ბანერის დამზადება და გაკვრა	ზომა: სიმაღლე 1 მეტრი; სიგანე-6 მეტრი (6კვ.მ). სპეციალური სამაგრებით (ე.წ ლუვერსებით) საინფორმაციო ბანერი უნდა გაიკვრას შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე	შეთანხმებით	3	ცალი			არაუგვიანეს 01.09.2015
9	სპორტული ღონისძიების საინფორმაციო აფიშის დამზადება და გაკვრა	A2 ფორმატის. 155გრ. პრიალა პარცის ქაღალდის სრულფეროვანი, აფიშები უნდა გაიკვრას ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შემსყიდველის მითითებით	შეთანხმებით	200	ცალი			არაუგვიანეს 28.08.2015
10	დიპლომი სადგამით	ბარხატის ჩასადებით, ოქროსფერ მეტალზე სუბლიმაციური ბეჭდვით, ზომა A2	შეთანხმებით	5	ცალი			არაუგვიანეს 04.09.2015
11	სიგელი ჩარჩოში	ქაღალდის 300 გრ, ა4 ფორმატის, დიზაინი და სიგელის წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით.	შეთანხმებით	13	ცალი			არაუგვიანეს 04.09.2015
12	მაისური ლოგოტიპით	უნდა იყოს დამზადებული ბამბისაგან, ნახევარ მკლავით, ლოგოტიპი თერმული ბეჭდვით, ზომები, ლოგოტიპისა და დიზაინი შეთანხმებული შემსყიდველთან	შეთანხმებით	8	ცალი			არაუგვიანეს 01.09.2015
13	კეპი ლოგოტიპით	ლოგოტიპი თერმული ბეჭდვით ზომები, ლოგოტიპისა და დიზაინი შეთანხმებული შემსყიდველთან	შეთანხმებით	8	ცალი			არაუგვიანეს 01.09.2015

14	ტრანსპორტი შიდა გადაადგილე ბისათვის (დღე 6)	ორი მიკროავტობუსი არანაკლებ 2004 წლის, არაუმცირეს 20 ადგილიანი კონდიცირებით(ტრან სფერი: ბათუმის - აეროპორტი - სასტუმრო და ქ. ბათუმი შიდა გადაადგილება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად)		6	დღე			02.09.2015 და 07.09.2015 ჩათვლით
				2	მიკროავტ ობუსი			
15	მსაჯის მომსახურეო ბა	ერთი მსაჯი, მინიჭებული უნდა ჰქონდეს საპლაჟო ფეხბურთის ფიფას კატეგორია		16	თამაში			02.09.2015 დან 06.09.2015 ჩათვლით
16	მსაჯის მომსახურეო ბა	სამი მსაჯი, მინიჭებული უნდა ჰქონდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ არანაკლებ პირველი ეროვნული კატეგორია		3	კაცი			02.09.2015 და 06.09.2015 ჩათვლით
				16	თამაში			
17	მსაჯის მომსახურეო ბა (ქრონომეტრ ისტი)	ერთი მსაჯი, უნდა ჰქონდეს ქრონომეტრისტად მუშაობის გამოცდილება.		16	თამაში			02.09.2015 დან 06.09.2015 ჩათვლით

18	წამყვანი	დონისძიების ფარგლებში გათამაშებების, თამაშის დროს კომენტარებისა და ფეხბურთელების გამოცხადება ქართულ და რუსულ ენაზე.		16	თამაში			02.09.2015 დან 06.09.2015 ჩათვლით
19	სასტუმროს მომსახურებასა და სამჯერადი კვებით 5 დღით	სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ცენტრალურ ნაწილში, სასტუმრო უნდა იყოს მინიმუმ 30 ნომრით (ნომრებში უნდა განთავსდეს არაუმეტეს 4 ადამიანი, ამასთან მინიმუმ 15 ნომერი უნდა იყოს 2 ადგილიანი) თითოეული ნომერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სველი წერტილით (საშხაპე, ტუალეტი), ფიტნეს კლუბით, საცურაო აუზით არანაკლებ 15 მეტრი სიგრძისა და გათბობა/კონდიციონერების სისტემით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სამჯერადი კვების სრული პაკეტით (საუზმე, სადილი, ვახშამი) 73 პერსონაზე 5 დღის მანძილზე. საკვები მენიუს შეთანხმება მოხდება შემსყიდველთან წინასწარ.		5	დღე	73	კაცი	02.09.2015 დან 06.09.2015 ჩათვლით
სულ ჯამი								

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. ბათუმი

„--“ „-----“ 2015 წელი

ერთის მხრივ „ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება-NSPA გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპორტული ღონისძიების ორგანიზება სატენდერო დოკუმენტაციისა და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად CPV:92600000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- () ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა

- 4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.
- 4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
- 4.5 ეტაპობრივი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების ადგილი

- 5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის --- 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 5.2 შესყიდვის ობიექტს მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N27.
- 5.3 სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 07 სექტემბრამდე.
- 5.4 მოწოდებულ პროდუქციაზე მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიმწოდებელისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრათან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.6 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი

ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. N27

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 602 110

ს/ს

ბანკის მფო:

ანგარიში №

დირექტორი: ი. ბერიძე

დირექტორი:

შემსყიდველი

მიმწოდებელი